მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(138) 2017 წ. 16-28 თებერვალი ფასი 50 თეთრი

ზამთრის ბოლო დღეები საგარეჯოში

ასეთი იქნება საგარეჯოს აბრარული ბაზარი

მიმდინარეობს მშენებლობა

მუნიციპალური გვერდი

საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის მორიგ სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ საკრებულოს წევრებმა განიხილეს საკითხები:

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების „მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ უჯარმაში მდებარე უძრავი ნივთების საკ. კოდებით: 55.16.55.003; 55.16.55.004; 55.16.55.005; 55.16.55.006; 55.16.55.008 სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ უდაბნოში მდებარე წყალმომარაგების ქსელის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს №65 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 სექტემბრის №66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

21 თებერვალი, 2017წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა.

გამგებლის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც საკმაოდ ყინვიანმა და უხვნალექიანმა ზამთარმა გამოიწვია. საუბარი შეეხო სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების პრობლემას. ასევე, ისაუბრეს წინა წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესაძლო განხორციელების შესახებ.

თათბირზე ყურადღება გამახვილდა სოფლებში არსებული ნაგავსაყრელებისა და მდინარის კალაპოტების მოწესრიგების საკითხებზე და დაისახა კონკრეტული ღონისძიებები გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ინფრასტრუქტურა

დიდი ჩაილურის მოსახლეობა ვენახებამდე მისვლას უპრობლემოდ შეძლებს

მრავალი წლის განმავლობაში სოფელ დიდი ჩაილურის მოსახლეობას ძალზე უჭირდა კუთვნილ ვენახებამდე მისვლა. ისინი კარგა ხნის მანძილზე ითხოვდნენ საგრძნობლად დაზიანებული გზის შეკეთებას.

მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის დავალებით, შპს "საგარეჯომ" დაახლოებით 3 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ გამგებლის წარმომადგენელმა ანა ყაჯრიშვილმა და მისმა თანაშემწემ არჩილ დიდებულიძემ 7-8 სატვირთო თვითმცლელის და რაც ყველაზე მთავარია, პრაქტიკულად მთელი სოფლის მოსახლეობის მობილიზება განახორციელეს. მიუხედავად არაერთი შემაფერხებელი ფაქტორისა., გზა მოსწორდა და მოიხრეშა.

ამიერიდან, სოფლის მოსახლეობას საშუალება ექნება უპრობლემოდ გადაადგილდეს კუთვნილ ვენახებამდე.



პარლამენტარი რომან მუჩიაშვილი სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრა

საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში **რომან მუჩიაშვილი** ბიუროს თანამშრომლებთან ერთად საგარეჯოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი პენსიონერის არსენ გზირიშვილის ოჯახს ეწვია, მათ პრობლემებს გაეცნო, დახმარებას დაპირდა და შეშა და საკვები პროდუქტები გადასცა. არსენ გზირიშვილმა დეპუტატს მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და დახმარებისთვის.

სოფლის მეურნეობა – 2017

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება

ამჯერად ყურადღება მევენახეობაზე მახვილდება

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამას, რომლის ძირითადი მიზანია მათი ეფექტურობის ამაღლება, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მათი იმპორტჩანაცვლების ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, მუშაობის სტიმულირება ფინანსური და ტექნიკური დახმარების საშუალებით. ამ პროექტის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ჩვენი მუნიციპალიტეტის მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმაც მიიღეს, რაზედაც გასულ წელს ჩვენმა გაზეთმაც გაამახვილა ყურადღება.

სახელმწიფოს მხრიდან დიდი შეღავათები და ფინანსური თუ სხვა სახის დახმარებებია დაგეგმილი მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნითაც, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფო პროექტში ჩართულ ამ კოოპერატივებს, არა მხოლოდ აამაღლონ ყურძნის მოსავლიანობა და მისი ხარისხი, არამედ ყურძნის მოსავლიდან მიღებულ შემოსავალთან ერთად სარგებელი მიიღონ წარმოებული ღვინის რეალიზაციიდანაც. კერძოდ, თუ მევენახეობის რომელ კოოპერატივებს შეუძლიათ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს*** ბ-ნ **ნიკო ჯავახიშვილს.**

როგორც მან ჩვენთნ საუბარში განმარტა: – ***აღნიშნულ პროექტში მონაწილე მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დადგენილია და უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:***

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს.

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეების საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰექტარი ვენახი, სადაც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ციცქა, ჩინური, ცოლიკაური, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, მუნჯარეთული, რაჭული (წულუკუძის) თეთრა.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა საპილოტე პროექტია, რომლის ფარგლებშიც გაიცემა არანაკლებ სამი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობა. მთლიანად პროექტის ბიუჯეტი კი 1 მილიონი ლარია.

დღეისათვის საქართველოში მევენახეობის მიმართულებით 40 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, რომელშიც გაერთიანებულია 250 მეპაიე და მათი ვენახების საერთო ფართობი 316 ჰა-ს შეადგენს.

საგარეჯოს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თავკაცის განცხადებით, კვლავ გრძელდება მეფუტკრეობის კოოპერატივებზე მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაც. მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიხედვით, ამ პროექტში ჩართულ კოოპერატივებს თაფლის საწურის, სკების და შესანახი ავზების გარდა, გადაეცემათ ფიჭის ასათლელი დანები ელექტროგამაცხელებლებით და ფიჭის ანათალების შესანახი ავზები. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივებს ღირებულების 30 პროცენტის ფასად გადაეცემათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 100 სკისა. ასევე, ერთი ერთეული 12 ჩარჩოიანი სკის თაფლის საწური, თაფლის შესანახი სხვადასხვა მოცულობის 40, 60 და 220 ლიტრიანი ავზები, რომელთა ჯამური ტევადობა არ უნდა იყოს 2200 ლიტრზე მეტი.

მნიშვნელოვანი შეღავათებია დაწესებული იძულებით გადაადგილებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ დაფუძნებული კოოპერატივების მიმართ. კერძოდ, იმ კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეების 50%-ს შეადგენენ დევნილები ან შეზღუდული შესაძლებლობების პირები, ან ქალები, კაპიტალური ინვესტიცია გადაეცემათ მთლიანი ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს მასში მონაწილე კოოპერატივების თაფლის 1 ნიმუშის უსასყიდლოდ შემოწმებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. კოოპერატივების მხრიდან კი გასათვალისწინებელია ის, რომ ისინი ვალდებულნი არიან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ სკებში, მიღებიდან ორ წელიწადში განათავსონ ფუტკრის ოჯახები.

გ. დაგახიშვილი

„თებერვალი დადგა“...

რა სამუშაოები უნდა ჩავაგაროთ თებერვალში ბაღსა და ბოსტანში

თებერვალი ზამთრის მესამე თვეა, თოვლით და სიცივით, თუმცა დღის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება, მზე უფრო თბილი და ნათელი ხდება, შესაბამისად ბუნება და ჩვენი ბაღიც გასაღვიძებლად ემზადება.

მეურნე ადამიანი, საგაზაფხულო სამუშაოების შემსუბუქებისთვის სწორედ ამ თვეში იწყებს აქტიურ ზრუნვას. თებერვლის თბილ დღეებში ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ხეხილის ხეები, უნდა მოვაშოროთ შემორჩენილი ფოთლები და ნაყოფი-ხშირად სწორედ მათში იზამთრებს ნაყოფის სიდამპლე, რამაც შეიძლება დაავადოს ნარგავები და შეამციროს მოსავლიანობა.

ასევე ყურადღებით დაათვალიერეთ ხეხილის ვარჯი, ქერქში ხშირად მავნებლები დებენ კვერცხებს, მათი მოშორება აუცილებელია რადგან, დათბობისთანავე მატლები გამოიჩეკება და ტოტებს, ყლორტებსა და კვირტებს დააზიანებს.

მნიშვნელოვანია მუხლუხო მატლების მოცილება, რომლებიც ხეებზე იზამთრებენ.

თუ ტემპერატურული რეჟიმი დღე-ღამის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, ხეები კირხსნარით შეათეთრეთ (10 ლიტრ წყალზე 2-3 კილოგრამი გადამწვარი კირი).

ამავე მიზეზით, ხეებზე ზოგჯერ ქერქი სკდება, მაღლა იწევს (ვარჯს შორდება) და ქერქის ქვეშ დარჩენილი სიცარიელე მავნებელთა ბუდედ იქცევა. ამ შემთხვევაში ქერქი შეგიძლიათ წვრილი ლურსმნით მიაჭედოთ და იგი გაზაფხულზე ისევ შეეზრდება ხეს, ან მოაცილეთ და ბაღის მალამო წაუსვით, რომ ჭრილობა არ დარჩეს.

მოაცილეთ ხეებს ხავსი და მღიერები!

თებერვალში, თუკი თბილი ამინდები დადგა, აუცილებელია, დავიწყოთ ხეხილის და კენკროვანი კულტურების გასხვლაც, კენკროვან კულტურებს გადაბერებული, დაავადებული და სუსტი ტოტები უნდა მოვაცილოთ, რომ მსხმოიარობა უხვი იყოს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე უხვი ნალექის პირობებში, ნარგავებში არ დადგეს თოვლის ნადნობი ან წვიმის წყლები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელად ჩაატარეთ სადრენაჟო ღონისძიებები, რომ მცენარეთა ფესვთა სისტემა ჭარბმა ტენმა არ დააზიანოს.

ამავე პერიოდში შეადგინეთ თესვის და დარგვის პირადი სამეურნეო კალენდარი. უნდა განსაზღვროთ, რისი დათესვა/დარგვა გინდათ, სად უნდა მოიძიოთ, მომზადეთ თესლი დასათესად, დააფასოვეთ დათესვის დროის მიხედვით, დაიწყეთ ჩითილების გამოყვანა-დახურულ სივრცეში.

გამხმარი, დატეხილი ტოტები, ნასხლავი, ფოთლები და სხვა ორგანული ნარჩენები მოაგროვეთ და გამოიყენეთ: კომპოსტირებისთვის, ბრიკეტირებისთვის, კვლების ამაღლებისთვის და ა.შ.

გაზაფხულზე ბევრი საქმე გექნებათ, ამიტომ გარკვეული სამუშაოები სჯობს ეხლა მოილიოთ.

წარმატებებს და მოსავლიან წელიწადს გისურვებთ!

ხეხილის გასხვლა ყოველწლიურად ისევე სავალდებულოა, როგორც ვაზისა

თესლოვანი კულტურების გასხვლა განსხვავდება კურკოვნებისაგან; კენკროვნებს უფრო თავისებური გასხვლა სჭირდება, რაც გამოიხატება გამოხშირვასა და წვერების გადაჭრაში.

თესლოვანი კულტურები: ვაშლი მსხალი, დიდი ტანით, ყლორტის უპირატესი ზრდით გამოირჩევიან, ამიტომ მათი გასხვლა სწორ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში მებაღემ, როცა ის ხესთან მიდის გასასხლავად, უნდა გულდასმით დაათვალიეროს ის, მონიშნოს ზედმეტი ტოტები და წამონაზარდები, რომლებიც აუცილებელ შეჭრას მოითხოვენ. მებაღე უნდა ეცადოს ხეს მისცეს ნორმალური განათება და ჰაერაცია. ამიტომ საჭიროა მოჭრას ის ტოტი, რომელიც ზღუდავს ხის ნორმალურ განათებას და ჰაერაციას.

ვეგეტაციის პერიოდში ვაშლის, მსხლის, კომშის ხეებს ახასიათებთ მრავალრიცხოვანი ამონაყრის წარმოქმნა. მებაღემ აქაც ინდივიდუალური მიდგომა უნდა გამოიჩინოს, განსაზღვროს რომელი მათგანი დატოვოს მომავალი კრონის გასაძლიერებლად, დანარჩენი ძირში უნდა მოიჭრას. არ უნდა დაგვავიწყდეს ახალგაზრდა ხეხილის გასხვლისას კრონის ფორმირება. ვარჯი ძირითადად უნდა შედგებოდეს სამი ან ოთხი სათანადო განშტოებებით. სხვლის დროს მებაღემ ზუსტად უნდა დაიცვას ეს მოთხოვნა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ვარჯის ტოტების ჩახშირება და განათების შეზღუდვა.

თუ წლიური ნაზარდი ნორმას არ აღემატება, მაშინ ერთი მესამედით ხდება ტოტის დამოკლება, ხოლო თუ ნაზარდი გათამამებულია, ის ნახევრით ან ორი მესამედით მოკლდება. უნდა ვეცადოთ ვაშლის, მსხლის ხეს მივცეთ ჯამისებრი ფორმა, რაც აადვილებს მის განათებას, გასხვლას, შეწამვლას და სხვა სამუშაოების ჩატარებას.

დასასრული.
დასაწყისი იხლეთ №3(137)

ჩვენი მუნიციპალიტეტი
სოფელი დიდი ჩაილური

გამგებლის ფსრმო-
მადგენელი
ანა ყაჯრიშვილი

მოსახლეობა – 1250
კომლი – 435
სოციალურად დაუცველი ოჯახი – 88
სასოფლო-სამეურნეო მიწები:
სულ – 733 ჰა
აქედან:
კერძო – 646ჰა
სახელმწიფო – 87ჰა
სახნავი:
სულ – 186ჰა(კერძო);
მრავალწლიანი ნარგავები
სულ – 331 (კერძო);
საძოვარი:
სულ – 179ჰა
აქედან
კერძო – 92ჰა
სახელმწიფო – 87ჰა;
საკარმიდამო
სულ – 37ჰა
აქედან
სახნავი – 24 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები – 13 ჰა.

აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა, მებოსტნეობა, მებაღჩეობა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

ერთსართულიან, პატარა, კოპწია შენობაში შეყუჟულა სოფლის საბავშვო ბაღი,

რომელიც ყოფილი საბავშვო ბაღის – 1956 წელს აგებული ძველი შენობის ეზოში განთავსდა 2012 წელს. ყოველ დილას აქ სიხარულით და ერთმანეთის ნახვის სურვილით მოიჩქარიან დიდი ჩაილურელი პატარები. ისინი 25 არიან. აქ მათ დაწესებულების მენეჯერი **თინათინ შიოშვილი,** აღმზ-

თინათინ შიოშვილი

სასკოლო ასაკის
აღსაზრდელები

რდელ-მასწავლებელი **მარინე ფეიქრიშვილი,** აღმზრდელის თანაშემწე **ხათუნა ლოლაძე,** მზარეული **ეკა მიდელაშვილი,**

მაია კერატიშვილი

დამლაგებელი **ეთერ აფციაური** და მათ ჯანმრთელობაზე მზრუნველი – მედდა **მაია კერატიშვილი** ელოდებიან. ზამთრის ამ ცივ დილას კი დაწესებულების თანამშრომელის – დარაჯის ალექსი ფოფხაძის მიერ საგულდაგულოდ გამთბარი შენობა ელოდებათ. ალექსის დაწესებულების თანამშრომლები თავიანთ მარჯვენა ხელს და მარჯვე ოსტატს ეძახიან. პატარებსაც უყვართ მათზე მზრუნველი ადამიანი...

შენობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პაწიაა. აქ ამის გამო მხოლოდ ერთი ოთახია გამოყოფილი აღსაზრდელთა სამეცადინოდ და საალმზრდელოდ. ჯგუფი შერეულია – 2 წლიდან – 5-6 წლამდე. წელს სექტემბერში, 10 აღსაზრდელი დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის შენობის კარებს შეაღებს, როგორც პირველკლასელი. გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს ისინი ამ სკოლას ესტუმრებიან და სკოლის პედაგოგები მათ სიყვარულით და დიდი სითბოთი დაათვალიერებინებენ იქაურობას, გააცნობენ პირველ მასწავლებელს...

– დღეს დიდი ჩაილურის ყველა პატარა დადის ჩვენს საბავშვო ბაღში, – მითხრა **საბავშვო ბაღის მენეჯერმა ქალბატონმა თინათინმა**, – წინა წლებში, განსაკუთრებით კი 90-იან წლებში 2-3 ბავშვი თუ დადიოდა ბაღში. საერთო გაჭირვებამ ბაღს ბევრი ბავშვი ჩამოაშორა მაშინ. განსაკუთრებით იმატა ჩვენთან საბავშვო ბაღში აღსაზრდელთა რაოდენობამ გადასახადის გაუქმების შემდეგ. ხედავთ, ახლა 25 ბავშვი გვყავს, მაშინ, როცა 2012 წლამდე 5-6

მარინე ფეიქრიშვილი და
ხათუნა ლოლაძე

ეკა მიდელაშვილი

ბავშვი თუ გვყავდა ჯგუფში. დღეს გვაქვს გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, საოცრად კარგი, ხარისხიანი კვების პროდუქტები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად ყველა საშუალება. ჩვენც ენერგიას არ ვზოგავთ – გავულამაზოთ, საინტერესო

ეთერ აფციაური

გავხადოთ ჩვენი აღსაზრდელებისათვის აქ გატარებული თითოეული დღე. გასულ წელს ჩვენი ეზო კეთილმოწყობილი გახდა ეზოს გასართობი სათამაშო მოწყობილობებით, რამაც უფრო გაახალისა ჩვენი ბავშვები. ერთი ეგ არის, ჩვენთან სივიწროვეა, მომავალში შეიძლება უფრო მეტი ბავშვი

საბავშვო ბაღის ძველი
შენობა

შემოგვემატოს და მათი განთავსება ამ ფართში ალბათ გაგვიჭირდება. თუმცა ვი-

ტოვებ იმედს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობა ამ პრობლემებსაც ბავშვების სასიკეთოდ გადაჭრიან.

საჯარო სკოლა

დღეს ძველი სკოლის შენობის ადგილზე სკოლის სპორტული მოედანია. შენობა 1989 წელს სიძველის გამო დაინგრა. ერთი პერიოდი სკოლა სოფლის გამგეობის ახლადაშენებულ ადმინისტრაციულ შენობაში იყო განთავსებული... 1992 წლისათ-

ლია როსტიაშვილი

ვის აქ სკოლის ახალი, სამსართულიანი შენობა იყო აშენებული. მისი მშენებლობა 1989 წელს დაიწყო და სამ წელიწადში სამი სართული აღიმართა, თუმცა 90-იანმა წლებმა თავისი მძიმე კვალი აქაც დატოვა... აქ, სამივე სართულზე შიდა სამუშაოებიღა იყო ჩასატარებელი, რაც მთავარია, შენობას სახურავი, კარ-ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ... მხოლოდ 2002 წლიდან მოხერხდა აქ პირველი სართულის მოწესრიგება. მაშინდელი რაიონის გამგებლის თენგიზ

დასასრული მე-5 გვერდზე

ჩვენი მუნიციპალიტეტი

სოფელი დიდი ჩაილური

დასასრული

ოქროცვარიძის ძალისხმევით აქ დაიგო იატაკი, შეილესა კედლები და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა 2002 წელს პირველ სართულზე შეხიზნულებმა სწავლა ერთ სართულზე განაახლეს.

– დღეს ჩვენი სკოლის შენობის მეორე სართულზეცაა დაგებული იატაკი, პირველ

სართულზე ამოიცვალა იატაკი, სადაც დაზიანებული იყო, ახლადდაგებული იატაკი შეიღება კიდეც. მეორე სართულზე აქამდე მხოლოდ სააქტო დარბაზსა და ბიბლიოთეკაში იყო ლამინატი დაგებული. მეორე სართულზე ამჟამად 5 ოთახშიდა იყო დარჩენილი იატაკი დასაგები და დღეს სწორედ ეს სამუშაოები მიმდინარეობს, – მეუბნება სკოლის დირექტორი ლია როსტიაშვილი, *– 2014 წელს ჩატარდა დიდი*

მასშტაბის რემონტი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს სამუშაო გეგმით ჩვენს სკოლაში 166000 ლარის სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. მართლაც, გამოიცვალა სახურავი (უკვე წყალი ჩამოდიოდა), ფანჯრები, ეზოში გაკეთდა კეთილმოწყობილი სველი წერტილები. აღნიშნული თანხიდან, რა თქმა უნდა, მორჩა გარკვეული თანხა და ისიც ისევ ჩვენი სკოლის შენობის კეთილმოსაწყობად გამოვიყენეთ. დღეს, როგორც ხედავთ აქ იატაკის დაგება მიმდინარეობს. ბიბლიოთეკისთვის (ბიბლიოთეკარი ნათია ქევხიშვილი) შევიძინეთ თაროები, ავეჯი, რამაც ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზად აქცია. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, სკოლას საგანმანათლებლო კერის სრული სახე გაზაფხულამდე მიეცემა, ოღონდ ორ სართულზე, მესამე

სართული კი კვლავ ჩვენს საფიქრელადაა ქცეული. არადა, ფართი მართლაც საოცრად დიდია, მაგრამ, კედლები შესალესი, იატაკი დასაგები და კიდევ ათასი წვრილმანია.

სკოლის 104 მოსწავლის სწავლა-განათლებას 24 მასწავლებელი ემსახურება. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება პედაგოგების გამოყოფა, დასახელება – ეს კარგად მუშაობს, ის ნაკლებად, ერთი მიზეზის გამო – ისინი ყველა მობილიზებულია და ყველა ერთი მიზნით მოდის სკოლაში – არ დაზოგოს თავისი ცოდნა, ენერგია და მთლიანად გაიხარჯოს მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებაში. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგები არიან: მაია ფოცხვერაშვილი, მარეხი საგინაშვილი, მაია ქევხიშვილი. XII კლასის დამრიგებელია დარეჯან ჯაჭვაძე. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ I კლასშიც 9 მოსწავლე გვყავს და მეთორმეტეშიც. ასევე, შეგვიძლია სიამაყით ვისაუბროთ ჩვენი სკოლის საუკეთესო მოსწავლეებზე, რომლებიც მარტო ჩვენი სკოლის ყოველდღიურ





ცია სოფლის დასასუფთავებლად. ხშირად ასეთი აქციებით ჩვენი მოსწავლეები ასუფთავებენ სოფლის ცენტრალურ ქუჩებს, სასაფლაოს, ჩაილურის ხევის სანაპიროებს.

გასულ წელს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა: გელა ვეშაპიძემ, სალომე ტერტერაშვილმა, მარიამ კირაკოზაშვილმა, მარიამ გურგენიძემ, ნანუკი საგინაშვილმა პროექტის ფარგლებში მოიპოვეს გრანტის სახით 500 დოლარი და ამ თანხით მოხერხდა სკოლის სპორტული მოედნის მოწესრიგება, ფეხბურთის კარის ბადეების, ძელის შეძენა.

მინდა გითხრათ, რომ სოფელს ეიმედება ჩვენი ახალგაზრდების – სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატებულების, სოფელზე უზომოდ შეყვარებულების და გულშემატკივრების. სოფელიც ყოველთვის მხარში უდგას სკოლას. განსაკუთრებით კი დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ პარტია „ქართული ოცნების“

აქტივისტის, ჩვენი თანასოფლელის ანა ბედიაშვილის მხრიდან, რომელიც ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან გვეხმარება სკოლისა და ეზოს მოწესრიგებაში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სკოლაში 104 მოსწავლეა. ჩვენთან 10 საფინანსო კლასია. არ გვყავს მესამე და მერვე კლასი. ჩვენი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აქტივობებში, ინტელექტუალურ თამაშებში, რომლებშიც გარკვეულ წარმატებებს აღწევენ.

სამედიცინო მომსახურება

სოფლის 1200-მდე მოსახლის ჯანდაცვას ოჯახის ექიმი ნათელ ნალბანდიშვილი ემსახურება. 0-დან 15 წლამდე აქ 180 ადამიანია. ოჯახის ექიმი აქ 2012 წლიდან თითქმის 100 წლის წინ აშენებულ შენობაში იღებს დიდჩაილურელებს, რომელიც უკვე იმდენად ავარიულია, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას აზრი არა აქვს.

ინფრასტრუქტურა

2016 წელს სოფელში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფლის ერთ ქუჩაზე (2კმ სიგრძე) მოეწყო გარე-განათება, რაზედაც 22.896 ლარი გაიხარჯა, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობაზე (შეძენილ იქნა ეზოს სათამაშოები) გაიხარჯა 1511,85 ლარი.

სულ ახლახანს აქ შპს „საგარეჯოს“ მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტით დაფინანსებული სამუშაოები ჩატარდა – მოწესრიგდა სოფლის ვენახებამდე მისასვლელი გზა.

„მილენიუმის“ პროგრამის ფარგლებში 2017 წელს მუნიციპალიტეტში სამი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხდება

...მალე ინფრასტრუქტურული პრობლემები აღარ იქნება“...

ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და მათი აღმზრდელების ცხოვრებაში ამ სასიხარულო ფაქტზე ჩვენმა გაზეთმა ჯერ კიდევ გასულ წელს გაამახვილა ყურადება. რაც შეეხება „მილენიუმის“ პროგრამაში ჩართულ სკოლებს, ესენი არიან: პატარძეულის, კაკაბეთისა და საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლები, რომელთაც „მსოფლიო ბანკის“ დაფინანსებით ჩაუტარდებათ სრული რეაბილიტაცია და მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრული მზადყოფნით დაახვედრებენ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად მისულ პატარძეულელ, კაკაბეთელ და საგარეჯოლ მოსწავლეებს.

როგორც ამ დღეებში ***საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს მანანა ცუცქირიძესთან*** საუბარში გავარკვიეთ, სკოლების რეაბილიტაციისათვის ყველა წინა მოსამზადებელი სამუშაო უკვე დასრულებულია ისე, რომ ამ სკოლების მოსწავლეებისათვის არ შეწყდება სასწავლო პროცესი. რეაბილიტაცია დაიწყება მაისის დასაწყისიდან ისე, რომ სკოლების მოსწავლეები სამეცადინოდ გადავლენ ახლომდებარე სკოლებში: კაკაბეთელი მოსწავლეები ისწავლიან პატარა ჩაილურის, პატარძეულელი მოსწავლეები ნინოწმინდის, ხოლო საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ საგარეჯოს III საჯარო სკოლის შენობაში, რისთვისაც გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სკოლებში შესული მშენებლები კი ზაფხულის განმავლობაში ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სასექტემბროდ მოესწროს პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაოები. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, როგორც ჩვენმა რესპოდენტმა აღნიშნა, აღნიშნული სკოლების

მოსწავლეებს ექნებათ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ მოწყობილი, ევროსტანდარტების დონის სასწავლო დაწესებულებები, სადაც დაწყებული წვრილმანი ნივთებიდან, ყველაფერი ახალი და საუკეთესო იქნება.

აღნიშნულ სიახლეებთან ერთად მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსისაგან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა შევიტყვეთ. კერძოდ ის, რომ „მილენიუმის“ პროგრამის მოქმედება ჩვენს მუნიციპალიტეტში მარტო ამ სკოლების შენობების რეაბილიტაციით არ ამოიწურება და მომავალი ***2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისიდან, ამ პროგრამაში მუნიციპალიტეტის კიდევ შვიდი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ჩაირთვება***. როგორც ქ-ნმა მანანა ცუცქირიძემ აღნიშნა, ამ პროექტის განხორციელებით მომდევნო სასწავლო წლის ბოლოს მუნიციპალიტეტში აღარ იარსებებს ისეთი სკოლები, სადაც რაიმე ინფრასტრუქტურული პრობლემები ექნებათ.

გ. დაბახიშვილი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲐᲡᲕᲐᲚᲘ

~ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ ~

საგარეჯოს რაიონში დაბადებულ ყველა თაობას თავისი, „შინაური“, იქნებ უბრალოდაც ნაცნობი ჰყავს „კუმირად“ აღიარებული. 40-იანი წლების ახალგაზრდობა სამკითხველოებში ათენ-აღამებდა – აქ ფრონტის ახალ-ახალ ამბებს იგებდნენ პრესის საშუალებით, წიგნების კითხვით უძალიანდებოდნენ ზამთრის გრძელ, მომქანცველ დამეებს. 50-იანი წლების შრომის ფრონტში ჩაბმული ახალგაზრდობა ახალ-ახალ წარმატებებს ზეიმობდა, ხოდა მისაბაძი სწორედ ისინი იყვნენ, ყველა ათწლეულში კი ბეჭდაუდებელი ფალავნები ჰყავდათ აღიარებული. 50-60-იან წლებშიც გარეჯელთა ყურადღება სწორედ მათკენ იყო მიპყრობილი. შემდეგ ფეხბურთელები, ჩვენი „გარეჯელები“, რომელთა წარმატებები რაიონის ფარგლებსაც იყო გაცდენილი. ერთი სიტყვით, ჩვენს რაიონს არ ეკლდა შრომასა თუ სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში წარმატებული ახალგაზრდები. გასული საუკუნის 90-იანი წლების ახალგაზრდობა კი ერთმანეთს „სანთლით“ ეძებდა – ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ გაათითოკაცა საქართველო. მაგრამ მაინც ახერხებდნენ სწავლაში თავის გამოჩენას. XXI საუკუნის დასაწყისშივე სოციალურმა ქსელებმა ერთ ადგილს მიაჯაჭვა ჩვენი მომავალი თაობა. უფროსების საფიქრალ-სადარდელს ერთი დიდი და მასშტაბური პრობლემაც დაემატა – წიგნს დაშორდა თაობა, რომლის სასახელო მომავალს უფროსი თაობა მხოლოდ წიგნიერებაში ხედავდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან წიგნს ჰყავს თავისი მეგობარი, თაყვანისმცემელი, მიმდევარი, რომელიც ასევე, აქტიური მომხმარებელია სოციალური ქსელების, ოღონდ... მიზანმიმართულად...

და, აი, თებერვლის ერთ ყინვიან-თოვლიან დღეს ჩემს სამუშაო ოთახში სტუმრად მყოფი სამი ახალგაზრდა – საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლესელები: ***ლუკა ქილიფთარი, ზურა ლალიაშვილი და ზურა კუჭუაშვილი*** სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ ყოველდღიურობიდან – თავიანთი სასკოლო ცხოვრებიდან გამომდინარე.

მაგრამ... როგორც ბიჭები აგრძელებენ საუბარს: – ჩვენი ნაკითხობა არ აღმოჩნდა საკმარისი და ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №41 საჯარო სკოლასთან წავაგეთ. თუმცა... ჩვენ ჩვენი ძალები მოვსინჯეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი სკოლის პირველკლასელებიც კი ჩვენი „ფანები“ გახდნენ. და რაც მთავარია, ლუკას, ანანოს, მარიამის და შემდეგ ჩვენი სამეულის ამ ტელეთამაშში მონაწილეობამ, მართალია ამერიკაში ორკვირიანი მოგზაურობის საგზური არ მოგვიტანა, მაგრამ სამაგიეროდ, წიგნი შეუყვარდა ჩვენი სკოლის ნახევარზე მეტ მოსწავლეს,

სოციალური ქსელებიდან ვიცით, რომ ჩვენი რაიონის სხვა სკოლების მოსწავლეებსაც. ეს მართლაც დიდი გამარჯვებაა... ეს ჩვენი დირექტორის ლელა ფანოზიშვილის დიდი დამსახურებაა, რომელიც სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ნიჭიერების გამოვლენისათვის „ვერ ისვენებს“ და სულ ახალ-ახალ აქტივობებს გვთავაზობს...

ბიჭები კურიოზებსაც იხსენებენ: – მთელი ძალები ამ ტელეთამაშისკენ გვქონდა მიპყრობილი და ცოტა მათემატიკას „მოვუსუსტეთ“. სკოლა ზეიმობს ჩვენს პირველ გამარჯვებას და მათემატიკის მასწავლებელი გვეუბნება: – ნეტა წააგოთ, იქნებ მათემატიკას მიუბრუნდეთო! მერე კი მიხვდა, სიცილი დაიწყო და გამარჯვებისკენ გზა დაგვილოცა...

რაღაცნაირად თბილი, შინაურები არიან ბიჭები. ერთმანეთი, მთელი კლასი და სკოლა მართლაც მთელი გულით უყვართ. თურმე მეშვიდე კლასამდე სხვადასხვა სადამრიგებლო კლასებში იყვნენ. ცნობით იცნობდნენ ერთმანეთს – ორივე ზუკას ნაირა გურგენიშვილი ასწავლიდა დაწყებითებში, მეშვიდე კლასიდან ლუკაც შეუერთდათ და სულ ერთად არიან, მთელი კლასი. გულშემატკივრობდნენ კიდეც და იმდენად, რომ ერთ-ერთს (არ ვასახელებ გვარს) – გიგის წიგნის აღებაც კი რომ არ უნდოდა, ისე დაეწაფა წიგნების კითხვას, რომ მათი გულშემატკივარიც კი იყო და გულშემატკივართა მოთამაშეებში ისევე განიცდიდა და ძაბავდა გონებას, როგორც ის სამი – „რიმგზე“ მდგომი თანაკლასელები.

საოცრად კომუნიკაბელური, თბილი ბიჭები აღმოჩნდნენ. თუმცა, სხვანაირად არც მოველოდი – მათ ოჯახებში სწორედ ასეთი პიროვნებები იზრდებიან ათწლეულებია.

სწორედ მშობლებმა მისცეს ის გეზი, აჩვენეს ის გზა, რომელმაც წიგნის კითხვამდე, წიგნიერებისკენ დაუცხრომელ ლტოლვამდე მიიყვანა ისინი. ბიჭები ახლა ღიმილით, რაღაცნაირი კმაყოფილებით მიყვებიან ზაფხულის არდადეგებზე გამოყენებულ დროს და სიყვარულით იხსენებენ იმ პირველ წიგნებს, რომლებიც მათ პირველად წაიკითხეს და აღიქვეს, როგორც წიგნი. რა თქმა უნდა, სამივემ დაწყებით კლასებში სათავგადასავლო, დეტექტიური, მხატვრული ლიტერატურა წაიკითხა, შემდეგ, ასაკის მატებასთან ერთად, უკვე სერიოზულ წიგნებს მოჰკიდეს ხელი.

გასულ წელს ლუკა ქილიფთარი თავის თანატოლებთან მარიამ ყაჯრიშვილთან და ანანო ქურხულთან ერთად მონაწილეობდა ტელეთამაშში „წიგნის თარო“. მართალია, ბლიც-ტური ითამაშა, მოიგო, მაგრამ საბოლოო ჯამში გუნდმა წააგო. თუმცა გამოცდილება მართლაც მიიღო. მაშინ სამივეს გულშემატკივრობდნენ ორივე ზუკა, მშობლიური სკოლა და მთელი საგარეჯო... შემდეგ კი გაჩნდა სურვილი – სამივე ბიჭს მიეღო მონაწილეობა მორიგ ტელეთამაშში (ლუკას ასაკი ხელს უწყობდა, ორივე ზუკას კი ასაკის შესრულება მეორე კონკურსში მოუწიათ. აქ 15-16 წლის მოზარდები იღებენ მონაწილეობას).

როგორც ***საგარეჯოს I საჯარო სკოლის დირექტორმა ლელა ფანოზიშვილმა*** მითხრა: – ჩვენმა მეთერთმეტეკლასელმა მოსწავლეებმა მართლაც დიდი წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ქართულ ტელეთამაშში „წიგნის თარო“, რომელშიც 15-16 წლის მოზარდები არიან. ამ პროექტის თემატიკაც მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს და შესაბამისად გამარჯვებულისათვის მთავარი წიგნიერებაა. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა სამსამი მოთამაშით დაკომპლექტებული ორი სკოლის გუნდი. შეჯიბრი 7 რაუნდისგან შედგებოდა. ჩვენმა ბიჭებმა ჯერ თბილისის 109-ე საჯარო სკოლას მოუგო, შემდეგ სოფ. ბერძენაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს საოცარი თამაში მოუგეს – როცა ანგარიში იყო 0:9 და ჩვენი ბიჭები აგებდნენ, ლუკამ ბლიც-ტურით იმარჯვა და წაგების ნაცვლად ანგარიში გაათანაბრა 18:18. საბოლოოდ კი ზუკა ლალიაშვილის პასუხმა ანგარიში 21:18 გახადა ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ შემდეგ ქუთაისელებთან წააგეს...

შემდეგ კონკურსში, რომელიც 22 თებერვალს დამთავრდა კიდეც, მათ მონაწილეობა ვეღარ მიიღეს – უკვე ასაკმა „ვეღარ შეუწყოთ ხელი“. სამაგიეროდ, კარგად გაერკვნენ, წიგნის შერჩევისას რა უნდა გაითვალისწინონ, კითხვისას რაზე გაამახვილონ ყურადღება და რაც მთავარია, აზრთა ურთიერთგაზიარება უკვე თამამად შეუძლიათ, რადგან ტელეთამაშმა „წიგნის თარო“ მართლაც ბევრ მოსწავლეს შეაყვარა წიგნის თაროებზე განლაგებულ წიგნებთან მეგობრობა.

მარადიადიდებელია

13 ასურელი წმინდა მამა

აბიბოს ნეკრესელი,
ანტონ მარტყოფელი,
დავით გარეჯელი,
ზენონ იყალთოელი,
თადეოზ სტეფანწმიდელი,
ისე წილკნელი,
იოსებ ალავერდელი,
ისიდორე სამთავნელი,
მიქაელ ულუმბოელი,
პიროს ბრეთელი,
სტეფანე ხირსელი და
შიო მღვიმელი

13 ასურელ მამათა შორის იყო წმინდა შიო, რომელიც ღირსი შიო მღვიმელის სახელითაა ცნობილი. მისი ხსენება 22 თებერვალსაა. დღეს სწორედ ღირსი შიო მღვიმელის მოღვაწეობას გაგაცნობთ

– იყვნენ ასურელი მოღვაწეები, რომლებმაც საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ააღორძინეს და დაამკვიდრეს. ***ღირსმა იოანე ზედაზნელმა*** სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დატოვა მაცდური წუთისოფელი, მონაზვნად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. მისი სიმდაბლე, მარხვა და მღვიძარება, ცრემლი და ვედრება სათნოეყო უფალს და ეროგულ მსახურს მიჰმადლა სენთა კურნებისა და ეშმაკთა განსხმის ნიჭი. ღირსმა იოანემ სახელი გაითქვა წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით. მის სანახავად უამრავი ხალხი მიდიოდა, ამიტომ წმიდა მამამ საჭიროდ ჩათვალა მოშორებოდა იქაურობას, წაიყვანა ზოგიერთი მოწაფე, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი, ააშენა სენაკები და დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ ***ღირს იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, რათა ქრისტეს სჯული განემტკიცებინა.*** წმიდა იოანემ ღვთისმშობლის ბრძანება თავის მოწაფეებს გამოუცხადა. ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ ღვთის მინიშნებით მოწაფეთაგან თორმეტი გამოარჩია: შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი. უდაბნოში დარჩენილებს თავის ნაცვლად მოძღვრად ბერი ექვთიმე დაუტოვა, თვითონ კი ძმებთან ერთად საქართველოში წამოვიდა.

საქართველოს მეფეს და კათოლიკოსს ანგელოზისგან ეუწყათ შუამდინარეთს აღმობრწყინებულ წმიდა მამათა საქართველოში მობრძანების შესახებ. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მიეგებნენ მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავიოსი კრებულითურთ.

ევლავიოს კათოლიკოსის კურთხევით წმიდა იოანე მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთაზე დასახლდა, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა. მოღვაწეები უბადრუკ სენაკებში ცხოვრობდნენ და მხოლოდ მცენარეულით იკვებებოდნენ.

ხალხმა გაიგო წმიდა იოანეს სასწაულები. ბევრს აღეძრა მონაზვნური ცხოვრების წრფელი სურვილი, ბევრმა დატოვა სოფლის ამაო, შფოთიანი ცხოვრება და ზედაზენს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. ამგვარად, ზედაზნის მთა განდეგილთა სამყოფელი გახდა.

ერთ დამეს წმიდა იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. მეორე დღეს მან შეკრიბა ისინი, უამბო, რაც იხილა და უთხრა: "სარგებლისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრიტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ამისათ ჯსცა ჯერ არს, რაჲთა წარხჯდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე, უფალი ჩუენი".

ღირსი შიო მღვიმელი (VI)

ღირსი შიო მღვიმელი, ცამეტ ასურელ მამათაგანი, ანტიოქიელი იყო. მისმა მშობლებმა, ღვთისმოსავმა აზნაურებმა, მშვენიერი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. თავმდაბალ, კეთილსა და ღვთისმოყვარე შიოს განსაკუთრებით უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა. ოცი წლის შიომ გაიგო დიდი მოღვაწის იოანეს (ხსენება 7 მაისს) ამბავი, რომელიც თავის მოწაფეებთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მშობლებისგან ფარულად წავიდა მის სანახავად. წმიდა იოანემ, რომელიც წინასწარჭვრეტის მადლით იყო დაჯილდოებული, სიხარულით მიიღო შიო, აკურთხა, თავის მოწაფეებს კი უთხრა: ***„იყოს ჭაბუკი ესე შვილი ღმრთისა და მამა მრავალთა მონაზონთა, რამეთუ ღმერთსა გამოურჩევიეს"***; შიოს კი აღუთქვა მოწაფეთა შორის ჩარიცხვა იმ პირობით, რომ შინ დაბრუნებულს მშობლებისაგან აეღო ნებართვა.

გავიდა ხანი. შიოს მშობლები მონასტერში წავიდნენ სამოღვაწეოდ. შიომ გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მონა და მამა იოანესთან წავიდა.

ღირსმა იოანემ სიხარულით მიიღო შიო, ბერად აღკვეცა და უდაბნოში დარჩენის ნება დართო.

ოცი წელი დაჰყო ღირსმა შიომ უდაბნოში მამა იოანესთან. უანგარო მოღვაწეობისა და მორჩილებისათვის მან კურნების ნიჭი მიიღო.

შემდეგ ღირსმა იოანემ იხილა ზეგარდამო ჩვენება, ამოერჩია მოწაფეები და ივერიაში წამოსულიყო ქართველთა სარწმუნოების განსამტკიცებლად. იმ თორმეტ თანამოსაგრეს შორის, რომელიც თან გაიყოლა წმიდა მამამ, შიოც იყო.

საქართველოში ჩამოსული მამები ზედაზნის მთაზე დაბინავდნენ, შემდეგ კი, კათოლიკოს ევლავიოსის კურთხევით და მამა იოანეს რჩევით, სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ საქადაგებლად.

დაყუდებისმოყვარე შიომ თავისი სულიერი მამისაგან უდაბნოში წასვლის ნებართვა ითხოვა. მცხეთის მახლობლად, სარკინეთის კლდეში იპოვა მღვიმე, და დაიწყო მოღვაწეობა. ის ადგილი იმ დროს მიუვალი, უწყლო, მხეცებით სავსე იყო. მრავალი ნაკლულევანება და შიში განიცადა აქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი დაითმინა და ყველანაირ საცდურს სძლია. ***ღირს მამას წმიდა ელია თეზბიტელის*** (ხსენება 20 ივლისს) ***მსგავსად ფრინველები უზიდავდნენ საზრდელს.***

შიომღვიმის მონასტერი

ერთხელ, მთელი ღამის მხურვალე ლოცვის შემდეგ, განთიადისას, მთელ ხევს საკვირველი ნათელი მოეფინა და წმიდა შიოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ერთად. ყოვლადწმიდა ქალწულმა განსაცდელთა შინა გაძლიერება აღუთქვა წმიდა ბერს და საზრდოდ თოვლის მსგავსი რამ მისცა. შემდგომ ამისა ღირსი შიო მეტი გულმოდგინებით მოღვაწეობდა იმ ხევში მარტოდმარტო.

ერთხელ სარკინეთის მთებში სანადიროდ წავიდა ***ფარსმან მეფის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი ევაგრე (ხსენება 4 თებერვალს),*** აქ მან ღირსი მამა გაიცნო და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ.

გამოჩენილი სპასპეტის უდაბნოში წასვლა მალე მთელმა ქვეყანამ გაიგო. ღირს შიოსთან და ევაგრესთან მრავალი მლოცველი მოდიოდა. ბევრმა მათგანმა ღირს ევაგრეს მიბაძა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ ღირსი შიო ლოცვად დადგა და ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის ეკლესიის ასაშენებელი ადგილი. წმიდანმა საეცხლურის ნაცვლად ხელის გულით აკმია საკმეველი. ცეცხლმა ხელი არ დასწვა. წმიდანი საკმევლის კვალს გაჰყვა და იქ, სადაც კვამლმა პირდაპირ ცისკენ აიწია, თავისი კვერთხით ეკლესიის ადგილი დასახა. ასე მიანიშნა უფალმა წმიდა შიოს, თუ სად უნდა აეშენებინა ტაძარი.

როცა ფარსმან მეფემ ევაგრეს ბერად შედგომა გაიგო, ძლიერ ეწყინა და თვითონ წაბრძანდა შიოს უდაბნოში. მეფემ ისეთი საკვირველი მადლი იხილა წმიდა შიოს სახეზე, რომ გვირგვინი მოიხადა და მის წინაშე დაიჩოქა. მამა შიომ მოწიწებით აკურთხა მეფე, წამოაყენა და თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თაყვანი სცეს მამა შიოს და მიიღეს მისგან კურთხევა. მათ შორის იყო ერთი დიდებული, რომელსაც მარჯვენა თვალი დაზიანებული ჰქონდა ისრისაგან. მან მუხლი მოიყარა შიოს წინ, შეახო თვალი მის ფეხს და განიკურნა.

ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდა უდაბნოსთვის. წმიდა შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ". მეფემ უდაბნოში ეკლესიის ასაშენებელად დიდძალი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული (ხსენება 30 ნოემბერს) სახარება შესწირა.

როცა ეკლესიის მშენებლობა დაასრულეს, ფარსმან მეფე ამჯერად უდაბნოში კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებთან ერთად ჩაბრძანდა. მოვიდა თვით წმიდა იოანე ზედაზნელიც და ახლად აგებული ტაძარი აკურთხა.

შემდგომ ამისა მეუდაბნოე ძმათა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. უდაბნოში სასწაულთმოქმედი განდეგილის სანახავად და მისგან კურთხევისა და კურნების მისაღებად მრავალი ადამიანი მოდიოდა.

წმიდა შიო მღვიმელის საფლავი

წმიდა შიო მრავალ სასწაულს იქმოდა. ერთხელ მონასტრის სახედრებს მგელი შემოეჭვია და ბევრი დაგლიჯა. როცა ეს ამბავი წმიდა შიომ გაიგო, ილოცა და უფლისგან ითხოვა, ეს მგელი სახედრების მწყემსად ქცეულიყო; ასეც მოხდა - ამის შემდეგ ერთგულად მწყემსავდა სახედრებს.

ერთხელ წმიდა იოანე ზედაზნელმა იხმო თავისი მოწაფეები და უბრძანა, ეჩვენებინათ, თუ სულიერების რა საზომს მიაღწიეს. წმიდა შიომ ხელისგულზე დაიდო ნაკვერცხალი და საკმეველი დააყარა. სასწაულის მხილველი ხალხი გაკვირვებული ადიდებდა უფალს.

ბოლოს წმიდა შიომ თავისი სულიერი მამის, იოანე ზედაზნელისა და საქართველოს კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით შეკრიბა მოწაფეები, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამძღვრად ღირსი ევაგრე და მის მიერვე გათხრილ მღვიმეში განმარტოვდა.

ქრისტეს სიყვარულისთვის ცოცხლად დამარხული ღირსი შიო **თხუთმეტი წლის** განმავლობაში ცხოვრობდა მღვიმეში მარხვითა და ლოცვით. ბოლოს, ღვთისგან სიკვდილის მოახლოების გამოცხადების შემდეგ, მიიღო წმიდა ზიარება, ხელები აღაპყრო და მშვიდად ჩაბარა უფალს სული სიტყვებით: „ჰოი, უფალო! ხელთა შენთა შევევედრებ სულსა ჩემსა".

სპარსელების ერთ-ერთი შემოსევის დროს შაჰაბასის მხედრებმა შიო მღვიმელის წმიდა ძვლები ირანში წაიღეს. იმ წელს სპარსეთი საშინელმა ჭირმა მოსრა. შეშინებულმა სპარსელებმა ამის მიზეზად წმიდა შიოს ნაწილებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება მიიჩნიეს და ისინი კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

წმიდანთა ცხოვრება, ტომი II,
თბილისი, 2001 წ.

„რა მალე დავბერებულვარ, ნეტავ, სადა და როდისა?!"

100 წლიდან 70 წელი საგარეჯოში

სმოლენსკის ოლქის ერთ პატარა, ლამაზ სოფელში დაიბადა – 1917 წლის 27 დეკემბერს. მის ბავშვობას დაემთხვა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი, პოლიტიკურად ქარიშხლიანი, სამოქალაქო ომები თუ შიმშილობის წლები. ის ავბედითი 37 წელიც. მაგრამ, აღმშენებლობის წლები დაიწყო, ოჯახიც შექმნა, პირმშოც შეეძინა და ჩვეულებრივ შრომას შეუდგა... მაგრამ, 24 წლისა არც იყო, სამამულო ომი დაიწყო... ყველა მამაკაცი გაიწვიეს, სოფელი მოხუცების, ქალების, ბავშვების ანაბარა დარჩა. მალე გერმანელებიც შევიდნენ და იქაურობის სრული ბატონ-პატრონი გახდნენ. ნასტია პლატონოვა, დედასთან და თავის თანატოლებთან ერთად მათი მსხვილფეხა საქონლის მომვლელები გახდნენ...

შემდეგ კი მიხვდნენ გერმენელები, საბჭოთა არმიის შეტევას ვეღარ გაუძლებდნენ და მშრომელ ადამიანებთან ერთად პირუტყვიც გაირეკეს სახღვარზე გადასასვლელად. ნასტიამ თავის პატარა შვილთან და დედასთან ერთად ღამე გაპარვა მოახერხადა... შემდეგ რუსეთს შიმშილმა გადაუარა. რა ექნა მცირეწლოვან შვილთან ერთად? დედა და ძმები სოფელში დარჩნენ...

რუსეთიდან ლტოლვილთა ნაკადი სხვადასხვა მოძმე რესპუბლიკებისაკენ დაიძრა. ნასტია აქ, საქართველოში ჩამოვიდა, საგარეჯოში მოხვდა. შეძლებისდაგვარად მიიღო თავადაც ომისგან გაპარტახებულმა დიდმა სოფელმა. ოჯახებში დადიოდა, ალაგებდა, ეხმარებოდა შეძლებულებს...

შემდეგ თავისი ბედი საგარეჯოელ ლევან მჭედლიშვილს დაუკავშირა, რომელსაც სწორედ ომმა გაუნადგურა ცოლ-შვილი. მანამდე, ტროცკისტად მონათლული 16 წლის ბიჭი გადაუსახლეს 37-ში... 1950 წელს დათო დაიბადა... რუსეთიდან ჩამონინამ 105 წელი იცოცხლა. ნასტია კი ბოლოს 1978 წელს იყო მშობლიურ სახლში.

ახლა საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ოთხსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე, ფანჯრიდან აკვირდება ქუჩაში მოსიარულე საგარეჯოელებს, უყურებს კულტურის სახლს, რაიონული გამგეობის შენობას. ბევრი ნაცნობი სახეა, ბევრიც უკვე უცხო... ვინ იცის, რამდენჯერ გაუხედავს ამ ფანჯრიდან ხან მეუღლის, შემდეგ შვილის, რძლის, შვილიშვილების, შვილთაშვილების მომლოდინეს... ახლა კი დღის გათენებას ელოდება, ქუჩის ყოლილი შვილი ავადმყოფობამ შეიწირა...

„მაცალე, სიბერევ, ნუ მიჭერ მარწუხებს...
ჯერ კიდევ ბევრი მაქვს შვილებთან სათქმელი"...

ჩუმად, მაგრამ რაღაცნაირი მოზომილი ნაბიჯებით სინაზით დადიოდა საგარეჯოს ქუჩებში. ზრდიდა თავის ერთას... შემდეგ შვილიშვილებმა ანამ და ნატომ გაუმზიანეს ცხოვრება, რძალი რუსუდანიც ღვთისნიერი, თბილი ადამიანი შეხვდა და სიამტკბილობით ზრდიდნენ გოგონებს. ახლა ოთხი შვილი ჰყავდა ნასტიას, უკიდეგანო რუსეთიდან გადმოხვეწილს... მშობლიურ კერაზეც მიდიოდა დედისა და ძმების, ძმისშვილების სანახავად. ისინიც ჩამოდიოდნენ, შვილიშვილებსაც აჩვენა თავისი სამშობლო. დედამ – ათასჭირგამოვლილმა ახმაურებას, სიცოცხლის კიდევ ერთი დღის შემომატებას.

მეხსიერება საოცარი აქვს, აზროვნება შესაშური, გადაადგილებაც შეუძლია ოთახიდან ოთახში და ხშირად თავის მოგონებებთან განმარტოება ურჩევნია, თუმცა მზრუნველი რძალი და შვილი ერთი წუთით არ ტოვებენ მზრუნველობის, ალერსის გარეშე...

დიახ, 70 წელია საგარეჯოს ცას შეჰყურებს სმოლენსკის ოლქის ერთ პატარა, ლამაზ სოფელში დაბადებული ერთ დროს ლამაზი, ქერა, ცისფერთვალება ქალი.

სპორტი

ორი გარეჯელი სამბისტი — მეორედ საქართველოს ჩემპიონი

15-16 თებერვალს ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ სამბისტთა შორის, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის პირველობაზე დასაყენებელ კანდიდატთა გამოვლენას. შესარჩევი კონტიგენტის სამბისტთა შესარჩევი ეს ასპარეზობა ჩატარდება 18-23 აპრილს, ჩეხოსლოვაკიაში, ქ. პრაღაში და იქ მონაწილეობის უფლებას ჩემპიონატზე პირველი ადგილის მფლობელი სამბისტები მიიღებდნენ. აქედან გამომდინარე, გასაგებია ის მონდომება და შემართება, რაც ამ ჩემპიონატში მონაწილე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ (დირექტორი გია მაისურაძე, მენეჯერი ტარიელ როსტომაშვილი) სამბისტებმა გამოიჩინეს და სათანადო შედეგებიც მიიღეს. ორმა მათგანმა ქვეყნის ჩემპიონის წოდებასთან ერთად ევროპის პირველობის საგზური გაინადდა, ორმა კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

კერძოდ, ევროპის პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და სამბოში წელს უკვე ***მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი 56 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ამირან დარბაისელი***, რომელიც ამ წოდებასთან ერთად არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში.

სამბოში წელს ასევე მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ჭიდაობის ამ სახეობაში შარშანდელი მსოფლიო პირველობის ვიცე-ჩემპიონი, ძიუდოში საქართველოს სამგზის პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში **ლაშა მათიაშვილი** (81კგ). ვფიქრობთ, რომ ჩვენი ეს პერსპექტიული მოჭიდავე არც ევროპის პირველობაზე შეირცხვენს თავს და პრაღიდან სათანადო შედეგით დაგვიბრუნდება.

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ **ვასილ ბუჩაშვილი** (52კგ) და **გიორგი მღებრიშვილი** (65კგ).

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სამბოს მწვრთნელებს: მამუკა მათიაშვილს და გოჩა მეკოკიშვილს ვულოცავთ თავიანთი აღსაზრდელების ამ წარმატებას და ვუსურვებთ, რომ თავიანთი გარჯით მომავალშიც ასახელონ ჭიდაობის გარეჯული სკოლის სახელი.

ოთარ არჩუაძის ხსოვნის ტურნირი საგარეჯოში

სამ დღეს – 17-19 თებერვალს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის საჭიდაო არენაზე ტარდებოდა ცნობილი საგარეჯოელი ფალავნის თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში საქართველოს ჩემპიონის, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორის, სპორტის ოსტატ ოთარ არჩუაძის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში საგარეჯოელ ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა სპორტული საზოგადოებებისა და მუნიციპალიტეტების 2002-2003-2004 და 2005 წლებში დაბადებული ჭაბუკები, საერთო ჯამში 220-მდე ფალავანი.

სამდღიანი ასპარეზობა 14 წონით კატეგორიაში ჩატარდა და იგი 20 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს. ამ წონითი კატეგორიიდან დაწყებული 32 კგ-მდე საგარეჯოელებს არც ერთი პრიზიორი არ ჰყოლიათ. 32 კგ-ში კი III ადგილი დაიკავა თორნიკე ასაბაშვილმა, გიორგი საგინაშვილი ვერცხლის სინჯის მედლის მფლობელი გახდა 38 კგ წონით კატეგორიაში. იგივე შედეგი აჩვენა 42 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თორნიკე თულაშვილმა. დავით კუჭუაშვილი მეორე პრიზიორი გახდა 66 კგ წონით კატეგორიაში. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები დაისაკუთრეს გიგი ქურხულმა (47კგ) და ფირუზ ქვლივიძემ (53კგ).

ტურნირზე საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მედლებითა და სიგელებით. ასევე დაწესებული იყო ოთარ არჩუაძის სახელობის თასი, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს გადაეცა.

ძიუ-დო

ნოდარ ქურხული ევროპის თასის საგზურის მფლობელია

ამას წინათ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებს შორის, რომელშიც საგარეჯოელი მოჭიდავე ნოდარ ქურხულიც (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) იღებდა მონაწილეობას. იგი თავის ძალებს 55 კგ წონით კატეგორიაში სცდიდა და შეძლო III საპრიზო ადგილის დაკავება. ამ შედეგით მან მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს ევროპის თასის გათამაშებაში, რომელიც ერთ თვეში რუსეთის ქალაქ ტულაში ჩატარდება.

ბ. დაბახიშვილი

საგარეჯო

საგარეჯოს გეოგრაფიული ტოპონიმები „წმინდა შიო“ და „ნადარბაზევი“

საგარეჯო ერთ-ერთი უძველესი ქალაქური დასახლებაა საქართველოში. არავინ იცის და არც არავის გამოუკვლევია საფუძვლიანად თანამედროვე ქალაქის ისტორია, თუ არ ჩავთვლით 1910 წელს გამოქვეყნებულ მცირე ზომის და ტირაჟის პატარა წიგნაკს „საგარეჯოს“, რომელიც მკითხველმა დიდი ხნის წინ შეიძინა და იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ახლანდელ საგარეჯოელთაგან ბევრმა არც კი იცის, რომ დღევანდელმა საგარეჯომ რამდენჯერმე შეიცვალა ადგილმდებარეობა – მისი ტერიტორია 70 რადიუსის ტერიტორიაზე იყო განფენილი და ხანდახან სულაც ისპობოდა გარეშე მტერთა შემოსევების დროს.

საგარეჯოში არსებობს მრავალი გეოგრაფიული ტოპონიმი, რომლებიც თანდათან დავიწყებას ეძლევა. მაგალითად, თანამედროვე პეტრე-პავლეს ულამაზეს გორაკს უწინ ერქვა „ნადარბაზევი“, მაგრამ როცა იქ 1710-1712 წლებში საგარეჯოს ხელმეორედ აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტრების წინამძღვარმა ონოფრე მაჭუტაძემ ეკლესია ააშენა, მისმა სახელმა გორაკს სახელი შეუცვალა და ნადარბაზევი ყველას გადაავიწყდა. როგორც ლიტერატურითა და ხალხის გამოკითხვით დავადგინე, ამ გორაკზე მეფე-მზე თამარს ბერთუბნის მონასტერში მიმავალს შუალედური სასახლე აუშენებია დასასვენებლად.

თამარ დედოფლისვე დავალებით, აქვე თვალზე, ტოპეშაურის ხევის მარჯვენა სანაპიროზე წმინდა შიოს პატივსაცემად ეკლესია აუშენებიათ, სადაც სალოცავად თურმე თამარიც დადიოდა.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
მწერალი და მწიგნობარი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

კობა კუპაჭაძის გახსენება

ჩემო კობა!

პირველად ვხვდები გაზაფხულს უშენოდ.

უეცრად, თოვლის ფანტელივით გაჰქრი.

შენ ერთნაირად დაგვაკლდი ყველას, ტკბილ მოგონებად დაგვიტოვე მრავლისმეტყველი, კეთილშობილური, ლამაზი ღიმილი, თბილი, ალალი გული და სათნოება.

ნეტარი იყო შენთან გატარებული წლები, უსაზღვროდ მენატრები...

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

შენი მეუღლე მზია